

სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი 2014 წლის 14 აპრილს

ორშაბათს, დღის 2 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ.ნიჟოლაძის სხდომათა დარბაზში ატარებს დედაენის დღისადმი მიძღვნილ სემინარს თემაზე:

ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი – 21 საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი ქართული გამოწვევა

სასემინარო საკითხების ნუსხა:

- ❖ ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის აგების მიზნები და სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრში ტექსტის ანალიზის, მეტყველების დამუშავების, ავტომატური თარგმანისა და ენობრივი რესურსების მიმართულებით არსებული შედეგების მიმოხილვა;
- ❖ მეტა-ქსელის 2012 წლის 26 სექტემბრის პრეს-რელიზის - “სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული ევდომის საფრთხის წინაშე - ცუდი და უარგი სიახლეები ენების ევროპულ დღეს” - მიმოხილვა;
- ❖ მეტა ქსელის ტექნოლოგიური საბჭოს ავტორობით 2012 წლის 1 დეკემბერს გამოცემული ნაშრომის - “სტრატეგიული ევლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის” - მიმოხილვა;
- ❖ ქართული ენისა და ევროპის ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების შედარება მეტა-ქსელის ევლევის - “ევროპის ენები ციფრულ ერაში” - მეთოდოლოგიის მიხედვით;
- ❖ შემაჯამებელი დისკუსია.

გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა ამ მთელი ერისთვის საჭირობოროტო საკითხების განხილვაში, რადგან მხოლოდ ერთად და ერთობით თუ შევძლებთ ჩვენი დედაენის - ქართული ენის დაცვას დღეს მის წინაშე მდგარი ციფრული ევდომის ანუ ეულტურული ქმედითუნარიანობის დაუარგვის მეტად მაღალი ხარისხის საფრთხისგან.

სემინარი მხარდაჭერილია სტუ №048-13 პროექტზე - “ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად აუცილებელი რიგი სისტემების გაფართოებადი (სწავლებადი) საინტერნეტო ვერსიების შემუშავება” - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაღებული გრანტით.

მომხსენებლები:

- სტუ პროფესორი, ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი - ე.ფხაკაძე;
- სტუ დოქტორანტი, ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის მკვლევარი - მ.ჩიქვინიძე;
- სტუ დოქტორანტი, ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის მკვლევარი - გ.ჩიჩუა.

საკონტაქტო მონაცემები - gllc.ge@gmail.com ; 555 543 744

სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი 2014 წლის 14 აპრილს

ორშაბათს, დღის 2 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ.ნიჟოლაძის სხდომათა დარბაზში ატარებს დედაენის დღისადმი მიძღვნილ სემინარს თემაზე:

ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი – 21 საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი ქართული გამოწვევა

სასემინარო საკითხების ნუსხა:

- ❖ ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის აგების მიზნები და სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრში ტექსტის ანალიზის, მეტყველების დამუშავების, ავტომატური თარგმანისა და ენობრივი რესურსების მიმართულებით არსებული შედეგების მიმოხილვა;
- ❖ მეტა-ქსელის 2012 წლის 26 სექტემბრის პრეს-რელიზის - “სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული ევდომის საფრთხის წინაშე - ცუდი და უარგი სიახლეები ენების ევროპულ დღეს” - მიმოხილვა;
- ❖ მეტა ქსელის ტექნოლოგიური საბჭოს ავტორობით 2012 წლის 1 დეკემბერს გამოცემული ნაშრომის - “სტრატეგიული ევლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის” - მიმოხილვა;
- ❖ ქართული ენისა და ევროპის ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების შედარება მეტა-ქსელის ევლევის - “ევროპის ენები ციფრულ ერაში” - მეთოდოლოგიის მიხედვით;
- ❖ შემაჯამებელი დისკუსია.

გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა ამ მთელი ერისთვის საჭირობოროტო საკითხების განხილვაში, რადგან მხოლოდ ერთად და ერთობით თუ შევძლებთ ჩვენი დედაენის - ქართული ენის დაცვას დღეს მის წინაშე მდგარი ციფრული ევდომის ანუ უელტურული ქმედითუნარიანობის დაუარგვის მეტად მაღალი ხარისხის საფრთხისგან.

სემინარი მხარდაჭერილია სტუ №048-13 პროექტზე - “ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად აუცილებელი რიგი სისტემების გაფართოებადი (სწავლებადი) საინტერნეტო ვერსიების შემუშავება” - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაღებული გრანტით.

მომხსენებლები:

- სტუ პროფესორი, ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი - ე.ფხაკაძე;
- სტუ დოქტორანტი, ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის მკვლევარი - მ.ჩიქვინიძე;
- სტუ დოქტორანტი, ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის მკვლევარი - გ.ჩიჩუა.

საკონტაქტო მონაცემები - gllc.ge@gmail.com ; 555 543 744

მეტა-ქსელმა ანუ მრავალენოვანი ევროპული ტექნოლოგიური ალიანსის ქსელმა 2012 წლის 26 სექტემბერს - ენების ევროპულ დღეს გამოაქვეყნა პრეს-რელიზი „სულ ცოცხა 21 ევროპული ენაა ციფრული ევდომის საფრთხის წინაშე - ყარგი და ცუდი სიახლეები ენების ევროპულ დღეს“, რომლითაც ევროპულ საზოგადოებას შემდეგს აცხობინებდა:

ენობრივ ტექნოლოგიებში წამყვანი ევროპული ექსპერტების ახალი ევლევა გვაფრთხილებს, რომ ევროპული ენების უმეტესობა ვერ გადაარჩება ციფრულ ეპოქაში. დაახლოებით 80 ევროპული ენიდან 30 ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასების საფუძველზე ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ამ 30 ენიდან 21 ენა ან საერთოდ „მხარდაჭერის გარეშეა“ ან, საუკეთესო შემთხვევაში, მხარდაჭერილია „სუსტად“. ... , რაც ამ ენებს ადგილს უჩენს მაღალი საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა ჯგუფში.

მეტა-ქსელის ყოორდინატორი, ხელოვნური ინტელექტის გერმანიის ევლევითი ცენტრის სამეცნიერო დირექტორი პროფესორი ჰანს უშოროიტი და ამავე ევლევითი ცენტრის დოქტორი გეორგ რეჰმი, ხაზს უსვამენ შემდეგს: „ჩვენი ევლევის შედეგები უკიდურესად საგანგაშოა. უმრავლესობა ევროპული ენებისა განიცდიან რესურსების ძალიან მნიშვნელოვან ნაკლებობას და ზოგს თითქმის არანაირი რესურსი არ გააჩნია. ამ თვალსაზრისით, ბევრი ჩვენი ენა სამომავლოდ დაუცველია.“ ამასთან, გეორგ რეჰმი დამატებით შემდეგს დასძენს: „არსებობს დრამატული განსხვავებები სხვადასხვა ტექნოლოგიურ სფეროებში სხვადასხვა ევროპული ენების ტექნოლოგიურ მხარდაჭერათა შორის. „დიდ“ და „მცირე“ ენებს შორის არსებული ეს უფსკრული ევლევ ფართოვდება. ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი იმაში, რომ ნებისმიერ თითქმის ურესურსოდ დარჩენილ „მცირე“ ენასაც კი აღვჭურვავთ ყველა საჭირო საბაზისო ტექნოლოგიით, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ეს ენები განწირულია ციფრული ევდომისთვის.“

2012 წელს ევროპაში გაყლერებული ეს საგანგაშო სიტყვა ჩვენ უფრო მეტადაც კი უნდა გავიგონოთ, ვიდრე იმ ევროპულმა ენებმა (ეს ენებია: ბასკური, ბულგარული, ყატალანური, ხორვატული, დანიური, ესტონური, ფინური, ბერძნული, უნგრული, ისლანდიური, ირლანდიური, ლატვიური, ლიტვიური, მალტური, ნორვეგიული, პოლონური, რუმინული, სერბიული, სლოვაკური, სლოვენური, შვედური, უელსური), რომლებიც მაღალი საფრთხის ქვეშ მდგომ ენებად შეფასდა, რადგან, სამწუხაროდ, ქართული ენა ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით უკანაა ამ ენებიდან თითქმის ნებისმიერზე!

კიდევ უფრო გასაგები რომ გახდეს თუ რა იგულისხმება სხვადასხვა ენების ყველა საჭირო საბაზისო ენობრივი ტექნოლოგიით აღჭურვაში და რატომ არის ენა განწირული ციფრული ევდომისთვის, თუ ის ამ ტექნოლოგიებით ვერ აღიჭურვა, მოკლედ მიმოვიხილავთ 2012 წლის 1 დეკემბერს მეტა-ქსელის ტექნოლოგიური საბჭოს ავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომს „მეტა-ქსელის სტრატეგიული ევლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის“.

ამ ნაშრომში კითხვაზე - „რა არის ენობრივი ტექნოლოგიები?“, მეტა-ქსელი შემდეგ პასუხს იძლევა: „ენობრივი ტექნოლოგიები არის ტექნოლოგიები, რომლებიც ავტომატურად წარმოქმნიან და, ასევე, ანალიზებენ ჩვენს სამყაროში როგორც წერიითი, ისე ზეპირი (ასევე ჟესტიკულაციური) ფორმით სხვადასხვა ენებზე არსებულ ნებისმიერი სპეციფიკისა და ნებისმიერი სირთულის მქონე ინფორმაციის მატარებელ შინაარსებს.“

ანუ, ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, ერთი რომელიმე ენის აღჭურვა ენობრივი ტექნოლოგიებით ნიშნავს ისეთი ენის “მცოდნე” კომპიუტერის შექმნას, რომელთანაც ამ ენის მცოდნე ნებისმიერი მომხმარებელი ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად შევა სასაუბრო სამომხმარებლო ურთიერთობაში. ანუ, ამა თუ იმ ენაში კომპიუტერის აღჭურვა ენობრივი ტექნოლოგიებით ნიშნავს ამ ენაში “მოაზროვნე და მოსაუბრე კომპიუტერის” აგებას.

თუმცა მეტა-ქსელის ზემოაღნიშნული ნაშრომის თვალსაწიერი არ ჩერდება ერთ ენაში “მოაზროვნე და მოსაუბრე კომპიუტერებზე” - ის უფრო უფრო ღრმად მიდის და უკვე საუბრობს “მრავალი ენის მცოდნე” ანუ “მრავალ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელ კომპიუტერებზე” და ასეთ “კომპიუტერებზე” დამყარებულ ახალ კულტურულ ეპოქაზე. კერძოდ, მეტა-ქსელის ტექნოლოგიური საბჭოს განაცხადით 2020 წლის მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიური დაფუძნების სტრატეგიული კვლევის „მიზანია ისეთი მრავალენოვანი ევროპული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც ყველა მოქალაქეს შეეძლება გამოიყენოს ნებისმიერი მომსახურება, ხელი მიუწვდებოდეს ნებისმიერ ცოდნაზე, ისიამოვნოს ნებისმიერი მედია საშუალებით, გააკონტროლოს ნებისმიერი ტექნოლოგია თავისივე მშობლიური ენით. - ეს იქნება ისეთი სამყარო, რომელშიც წერიტი და ზეპირი კომუნიკაცია არასდროს აღარ შეფერხდება ენობრივი ბარიერებით და, რომელშიც არა მხოლოდ ზოგადი, არამედ სპეციალიზებული შინაარსების მაღალი ხარისხის თარგმანებიც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი იქნება.“

ანუ, პასუხს კითხვაზე, თუ რა იგულისხმება სხვადასხვა ენების ყველა საჭირო საბაზისო ენობრივი ტექნოლოგიით აღჭურვაში და რატომ არის ენა განწირული ციფრული კვდომისთვის, თუ ის ამ ტექნოლოგიებით ვერ აღიჭურვა, მეტა-ქსელის ზემოციტირებული ეპოქალური განაცხადით ვცემთ! - იგულისხმება ის, რომ ჩვენ ან შევძლებთ „ქართულ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი კომპიუტერის“ აგებას და ქართული ენით შევალთ „მრავალ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი კომპიუტერების“ ეპოქაში, ანდა, ეს უკვე უარს მომდგარი ახალი ეპოქა უი დადგება, მაგრამ ჩვენ ამ ახალ კულტურულ ეპოქაში ქართული ენით ჩართვისა და მონაწილეობის არანაირი შესაძლებლობა არ გვექნება „ქართულ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი კომპიუტერის“ არარსებობის გამო!

ქვემოთ მოგვყავს ამონარიდები ნაშრომიდან „სტრატეგიული კვლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის“, რომელთა გაცნობის შემდეგ მკითხველი სრული სიცხადით დაინახავს იმ ღრმა პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას, რასაც არსებული ვითარების გათვალისწინებით თავად ევროპელები განიცდიან თავ-თავიანთი ენების ბედთან დაკავშირებით:

ლიტვა - “ლიტვური ენის მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, შევძლებთ თუ ვერა მივყვით საინფორმაციო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების პროცესებს.” - ანდრიუს კიბილიუსი (ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი).

ესტონეთი - „თუ ჩვენ არ განვახორციელებთ ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების გეგმას, ... ესტონური გაირიყება მომავლის საინფორმაციო სამყაროდან.“ - (ესტონური ენის განვითარების 7 წლიანი გეგმა).

ლატვია - “ისეთი ენებისათვის, როგორცაა ლატვიური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მხარი აუბას მხარდი ტემპებით მიმდინარე ტექნოლოგიურ პროგრესს.” - ვალდის დომბროვსკისი (ლატვიის პრემიერ-მინისტრი).

საბერძნეთი - “ენობრივი ტექნოლოგიების შემდგომი მხარდაჭერა ბერძნულ ენას და ულტურას არსებობას შეუნარჩუნებს ციფრულ სამყაროში.” - გიორგი ბაბბინოტისი” (განათლების, გახანგრძლივებული სწავლებისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრი).

სლოვენია - “უკიდურესად აუცილებელია სლოვენური ენისათვის ენობრივი ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარება, თუ რა თქმა უნდა გვინდა, რომ სლოვენურმა მომავლის ციფრულ სამყაროშიც შეინარჩუნოს თავისი განუწყვეტელი განვითარების გზა.” - დოქტორი დანილო ტორჯი (სლოვენის რესპუბლიკის პრეზიდენტი).

პორტუგალია - “ენობრივი ტექნოლოგიების სფეროში პორტუგალიური ენისთვის წარმოებული ყვლევები უაღრესად მნიშვნელოვანია საინფორმაციო სამყაროში პორტუგალიურის გლობალური კომუნიკაციის ენად ფორმირებისთვის.” - დოქტორი პედრო პასოს კოელო (პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი).

დიდი ბრიტანეთი - “მეტა-ქსელის საქმიანობა არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ მომავლისკენ, რომელშიც ენობრივი ტექნოლოგიები იქნება ყველა ჩვენგანის გარშემო, და რომლებიც მიუხედავად იმისა, ვსაუბრობთ თუ არა ჩვენ ერთსა და იმავე ენაზე, თანამშრომლობის, ბიზნესის წარმოებისა და მეგობრებსა და კოლეგებთან ცოდნის გაზიარების თავისუფალ საშუალებებს მოგვცემს.” - დევიდ უილესი (უნივერსიტეტებისა და მეცნიერების სახელმწიფო მინისტრი).

დანია - “თუ ჩვენი მიზანია ვისარგებლოთ დანიური ენით მომავლის ტექნოლოგიურ სამყაროში, ახლავე უნდა მივიღოთ ზომები ჩვენ ხელთ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაერთიანებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება მეტა-ქსელის მოხსენების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვდგებით იმ საფრთხის წინაშე, რომ მხოლოდ ინგლისურის სრულყოფილად მცოდნე ადამიანები ისარგებლებენ ახალი თაობის საინტერნეტო, სამობილურო და სარობოტო ტექნოლოგიებით, რომლებიც უკვე უარს მოგვადგა.” - კირხმაიერ ანდერსენი (დანიური ენის საბჭოს დირექტორი).

ამგვარად, თუნდაც მხოლოდ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება ქართული ენის ტექნოლოგიების მიზნით დღეს მეტად სუსტად და მეტად ქოტურად მიმდინარე პროცესების თვისობრივი ცვლის გადაუდებელი აუცილებლობა! - ანუ, მსგავსად მეტა ქსელისა, რომელმაც ევროპის ენების ციფრული ყვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით მოქმედი ჯგუფები გააერთიანა და შეიმუშავა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიური დაფუძნების სტრატეგიული ყვლევითი გეგმა, ასევე, აუცილებელია, ქართული ენის ციფრული ყვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით მოქმედი ჯგუფების გაერთიანება და ქართული ენის ტექნოლოგიური დაფუძნების მრავალპლანიანი სტრატეგიული ყვლევითი გეგმის შემუშავება, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ვერავინ შეძლებს ქართულ ენას ააშოროს დღეს მის წინაშე მდგარი ციფრული ყვდომის ანუ ულტურული ქმედი თუნარიანობის დაქარგვის მეტად მაღალი ხარისხის საფრთხე.